



9982/4-2/21 2 30092021

9982/4-2/21

30-09-2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს,
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენი სარჩელია შეტანილი სამოქალაქო წესით საერთო სასამართლოებში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით 2015-2021 წლებში?
2. ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით, რამდენი სარჩელია შეტანილი ადმინისტრაციული წესით საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების მოთხოვნით 2015-2021 წლებში?
3. ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებით, რამდენი სარჩელია შეტანილი ადმინისტრაციული წესით საერთო სასამართლოებში შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის დადგენილების გასაჩივრების მოთხოვნით 2015-2021 წლებში?
4. რამდენი სარჩელია შეტანილი სამოქალაქო წესით საერთო სასამართლოებში შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით 2015-2021 წლებში?
5. შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებით, რამდენი სარჩელია შეტანილი ადმინისტრაციული წესით საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების მოთხოვნით 2015-2021 წლებში?
6. რამდენი სარჩელია შეტანილი სამოქალაქო წესით საერთო სასამართლოებში გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით 2015-2021 წლებში?
7. გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, რამდენი სარჩელია შეტანილი ადმინისტრაციული წესით საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე შესაბამისი ადმინისტრაციული

ორგანოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების მოთხოვნით 2015-2021 წლებში?

8. გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, რამდენი სარჩელია შეტანილი ადმინისტრაციული წესით საერთო სასამართლოებში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილების გასაჩივრების მოთხოვნით 2015-2021 წლებში?
9. პირველ-მე-8 პუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენზე იქნა მიღწეული მორიგება მხარეებს შორის (სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში).
10. პირველ-მე-8 პუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენი საჩივარია წარდგენილი სააპელაციო სასამართლოში და როგორია მათი განხილვის შედეგები.
11. პირველ-მე-8 პუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენი საჩივარია წარდგენილი საკასაციო სასამართლოში და როგორია მათი განხილვის შედეგები.
12. პირველ-მე-8 პუნქტებში ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენ შემთხვევაში მოხდა სარჩელზე უარის თქმა.
13. პირველ-მე-8 პუნქტებში ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენ შემთხვევაში მოხდა სარჩელის გამოხმობა.
14. პირველ-მე-8 პუნქტებში ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენ შემთხვევაში მოხდა სარჩელის განუხილველად დატოვება.
15. პირველ-მე-8 პუნქტებში ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით, რამდენი სარჩელი დაკმაყოფილდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.
16. პირველ-მე-8 პუნქტებში ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით რამდენი სარჩელი დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

გთხოვთ, პირველ-მე-16 პუნქტებში მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი წლების მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე